

**თჰუ  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომის ოქმი №06**

თბილისი

17 ივლისი 2012 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარია კუბლაშვილი

**სტუდენტები:** მეგი ბირკაძე, ინნა დეისაძე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

**სხდომის მდივანი:** გაიანე გრიგორიანი

**დღის წესრიგი:**

თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თაობაზე (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე)

**აზრი გამოთქვას:**

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

**მოისმინეს:**

თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით. მან წარმოადგინა საკონფერენციო თემები და აღნიშნა, რომ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შემდგომ გამოიცემა კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების კრებული.

**ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:**

1. ჩატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება ჯანდაცვის ფაკულტეტზე დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით და კონფერენციის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2012 წლის 20 ივლისი.
2. გამოიცეს კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების კრებული.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:**

ი.საყვარელიძე

**სხდომის მდივანი:**

გ. გრიგორიანი